ხელშეკრულება იჯარის შესახებ №20-03/18

ქ. თბილისი

20 მარტი 2018 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი **შპს „ოაზისი 9“** წარმოდგენილი მისი დირექტორის **ზაალ იაკობიძის** (პირადი ნომერი № 01024010547) სახით (შემდგომში "მეიჯარედ" წოდებული), ერთის მხრივ **შპს „ტესტ სერვისი“** წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი მიმინოშვილის (პ/ნ 01024038557) სახით (შემდგომში "მოიჯარე" წოდებული) მეორეს მხრივ, ვდებთ წინამდებარე იჯარის ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება) შემდეგზე,

ტერმინთა განმარტება:

1. მეიჯარე - ***შპს „ოაზისი - 9“*** (ს/კ 211322736, მის: კოსტავას ქ. №37/39, მე-7 სართული) იჯარის საგნის მესაკუთრე.
2. მოიჯარე - ***შპს „ტესტ სერვისი“*** (ს/კ 404548771, მის: კოსტავას ქ. №37/39, მე-7 სართული)
3. იჯარის საგანი – ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ქონება ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, ჯავახეთის ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც შეადგენს 4213 კვ.მეტრი, საკადასტრო კოდი: 01.17.10.011.096

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 წინამდებარე საიჯარო ხელშეკრულების შესაბამისად მეიჯარე, მოიჯარეს იჯარით, დროებით სარგებლობაში გადასცემს მიწის ნაკვეთს მდებარე ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, ჯავახეთის ქუჩის გადაკვეთაზე საკადასტრო კოდით: 01.17.10.011.096 . საიჯარო ფართი შეადგენს 4213 კვ.მეტრს (შემდგომში „საიჯარო ფართი).

1.2 მოიჯარე იჯარის საგანს გამოიყენებს ავტომობილების ტესტირების ცენტრის გახსნის მიზნით.

1.3 საიჯარო ფართი ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლოა, ვარგისია გამოყენებასა და ექსპლოატაციისათვის.

2. საიჯარო ქონების ღირებულება და გადახდის წესი

2.1 მოიჯარე საიჯარო ფართის სარგებლობისთვის გადაიხდის გადასახადს ჯამში 7000 ლარის ოდენობით, რომლის გადახდა განხორიცელდება 2 ეტაპად. მოიჯარე გადაიხდის 3 500 ლარს წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან 5 თვის გასვლის შემდეგ, ხოლო მომდევნო 3 500 ლარს 10 თვის გასვლისთანავე.

2.2. მოიჯარე კისრულობს ვალდებულებას გადაიხადოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადები.

2.4 საიჯარო გადასახადის ვადაგადაცილების შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ მოსთხოვოს მოიჯარეს პირგასამტეხლოს სახით გადასახდელი თანხის 0.05% გადახდა ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის;

3. საიჯარო ქონებასთან დაკავშირებული სხვა ხარჯები

3.1 მოიჯარე ვალდებულია გარდა საიჯარო ქირისა ვალდებულია გადაიხადოს საჯარო ფართის სარგებლობიდან მისი წარმოშობილი კომუნალური გადასახდები მათ შორის მის მიერ

მოხმარებულ ელ.ენერგიის, წყლის, გაზის მოხმარებასთან დაკავშირებულ ხარჯები რომლებიც დაფიქსირდება საიჯარო ობიექტზე დამონტაჟებულ მრიცხველებზე და სხვა ინდივიდუალური ხარჯები, რომელიც დაფიქსირდება საიჯარო ობიექტის ექსპლუატაციის დროს (დასუფთავების, სატელეფონო და სხვა სახის კავშირგაბმულობის და ა.შ.).

4. იჯარის მოქმედების ვადა და შეწყვეტის წესი

4.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის მასზე ხელმოწერის დღიდან და მისი მოქმედების ვადა განისაზღვრება, იჯარის ვადის ნაწილში წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერიდან 10 თვის ვადით, ხოლო სხვა ნაწილში მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულ შესრულებამდე.

4.2. "მეიჯარე" უფლებამოსილია მისი მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის გარეშე ცალმხრივად ვადამდე მოშალოს ეს ხელშეკრულება შემდეგ შემთხვევებში:

- თუ მოიჯარე არღვევს ამ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს;
- თუ მოიჯარე განძრახ ან დაუდევრობით აუარესებს საიჯარო ფართის მდგომარეობას.

4.3. ეს ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა შეთანხმების შედეგად.

4.4. ხელშეკრულება შეწყდება იმ შემთხვევაში, თუ საიჯარო ქონება განადგურდა ან სახმარად უვარგისი გახდა.

4.5. ხელშეკრულების მოშლისას ან ვადის გასვლისას, მოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს ამ დღისთვის არსებული ყველა გადასახადი და დაცალოს-გაათავისუფლოს საიჯარო ფართი დაუყოვნებლივ.

4.6. იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულება მოიშალა ან შეწყდა მისი მოქმედება, ან მოიჯარეს გადასახდელი აქვს საიჯარო ქირა და კომუნალური გადასახდები, მეიჯარე უფლებამოსილია ნებისმიერი ფორმით და საშუალებებით შეზღუდოს საიჯარო ფართში მოიჯარის შესვლა, ასევე მოიჯარე არ ათავისუფლებს საიჯარო ფართს, მეიჯარე უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ დანიშნოს კომისია, გახსნას ნებისმიერი ფორმითა და საშუალებებით საიჯარო ფართი შეადგინოს საიჯარო ფართის გახსნისა და აღწერის ოქმი (რომელსაც სადავოობისას გააჩნია იურიდიული მტკიცებულების ძალა) საიჯარო ფართში არსებული ქონება გადაიტანოს სხვა ადგილას შენახვაზე (ამ შემთხვევაში მოიჯარე მეიჯარეს უხდის შენახვის ხარჯებსაც და მოიჯარეს მიერ გადაუხდელი თანხების არსებობის შემთხვევაში აღნიშნულ ქონების მიმართ „მეიჯარეს" გააჩნია გირავნობის უფლება ამ ქონებაზე მისი ფლობით) და საიჯარო ფართი დატვირთოს ხელახლა, ამ შემთხვევაში მეიჯარეს არ შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა იმ ზიანისთვის, რაც შესაძლოა მიადგეს მოიჯარეს (მათ შორის ქონებას) მეიჯარის ქმედების გამო და მოიჯარე უარს აცხადებს მოითხოვოს რაიმე ანაზღაურება. ზემოაღნიშნული წესი მოქმედებს აგრეთვე იმ შემთხვევაშიც თუ მოიჯარეს წარმოეშვა დავალიანება მეიჯარეს მიმართ რა დროსაც მეიჯარე უფლებამოსილია, დალუქოს (შეზღუდოს მოიჯარის შესვლა) საიჯარო ობიექტი, აღწეროს იქ მოთავსებული ნივთები, გამოათავისუფლოს ობიექტი, გადაიტანოს ნივთები სხვა ადგილას შენახვაზე და ამ ნივთების მიმართ მეიჯარეს გააჩნია გირავნობის უფლება.

4.7. ხელშეკრულების მოშლის ან მოქმედების შეწყვეტის შემთხვევაში, თუ „მეიჯარემ" არ განახორციელა ამ ხელშეკრულების 4.6-ე პუნქტით განსაზღვრული ქმედება და „მოიჯარე" ფაქტიურად მაინც აგრძელებს ობიექტით სარგებლობას იგი მეიჯარეს უხდის ფაქტიურად სარგებლობის პერიოდში, წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ საიჯარო ქირას და გადასახადებს.

4.8. ნებისმიერ მიზეზით ამ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მოიჯარე ვალდებულია გადასცეს მეიჯარეს საიჯარო ქონება იგივე მდგომარეობაში რა მდგომარეობაშიც მიიღო ქონება მეიჯარისაგან, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით. ხელშეკრულების ვადის დასრულების ან შეწყვეტის შემთხვევაში, ამდაგვარი შემთხვევის დადგომიდან 10 დღის განმავლობაში მხარეთა შორის დგება საიჯარო ფართის მიღება-ჩაბარების აქტი. მიღება-ჩაბარების აქტზე დასმული თარიღი წარმოადგენს ამ ხელშეკრულების მოქმედების დასრულების ნამდვილ თარიღს. იმ შემთხვევაში თუ მოიჯარე მხარე უარს განაცხადებს მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე ეს ხელშეკრულება შეწყვეტილად ჩაითვლება ზემოაღნიშნული 10 დღის ვადის გასვლისთანავე. მეიჯარე საიჯარო ქირას იხდის მის მიერ საიჯარო ობიექტის ფაქტობრივი ფლობის გათვალისწინებით.

5. ქვეიჯარა

5.1 მოიჯარე არ არის უფლებამოსილი გადასცეს ქვეიჯარით საიჯარო ქონება, მთლიანად ან ნაწილობრივ, ან სხვებს დართოს ნება გამოიყენონ აღნიშნული საიჯარო ქონება თუ სხვაგვარად არ არის ნებადართული წერილობითი ფორმით მეიჯარის მიერ. იმ შემთხვევაში, თუ მოიჯარე ქვეიჯარით გადასცემს აღნიშნულ საიჯარო ქონებას მეიჯარის ნებართვის გარეშე, მეიჯარეს უფლება აქვს შეწყვიტოს საიჯარო ხელშეკრულება და მოითხოვოს ზარალის ანაზღაურება. ქვეიჯარა (ამ სიტყვის ფართო გაგებით) ნიშნავს ნებისმიერ საქმიან ურთიერთობას, რომელიც მოიცავს გამოყენების ნებისმიერ ტიპს მესამე მხარის მიერ, რომელიც დაშვებულია მოიჯარის მიერ საიჯარო ქონების მფლობელობაში გადასვლის მიზნით გაფორმებული კონტრაქტის ფორმულირების და სახელწოდების მიუხედავად (მათ შორის ბიზნესის ურთიერთთანამშრომლობის შესახებ კონტრაქტი, კონტრაქტი ერთობლივ გამოცხადებაზე ბაზარზე ან ნებისმიერი სხვა კონტრაქტი).

6. სავაჭრო საქმიანობა და სამუშაო საათები

6.1 მოიჯარე განახორციელებს საქმიანობას საიჯარო ქონებაში საფირმო სახელწოდების გამოყენებით, რომელიც გამოსახული იქნება საიჯარო ქონებაზე თვალსაჩინო ადგილას.

6.2 საიჯარო ფართში, ან მის მიდამოებში, მოიჯარეს არა აქვს უფლება ნებისმიერი მიზეზით შეინახოს საშიში მასალები და/ან საგნები (ასაფეთქებელი, აალებადი, მომწამვლელი და სხვ. ნივთიერებები) რომელმაც შეიძლება ნებისმიერ შემთხვევაში საფრთხე შეუქმნას ადამიანების ჯანმრთელობას, ქონებას და სიცოცხლეს, რომლებიც არიან სავაჭრო ცენტრში ნებისმიერი მიზნისთვის. თუ აღმოჩნდება, რომ მოიჯარე ინახავს სახიფათო ნივთიერებებს ან მასალებს, ეს ჩაითვლება ხელშეკრულების პირობების დარღვევად, მოიჯარე ვალდებულია აანაზღაუროს ამ სახით მიყენებული ზარალი და დაუყოვნებლივ გადაიტანოს ყველა ნივთი და გამოასწოროს ნებისმერი შედეგი

6.3 მიწოდებები საიჯარო ქონებაში უნდა განხორციელდეს ისეთ დროს და ისეთ გზით რომ არ შეაფერხოს და ხელი არ შეუშალოს სხვა მეიჯარეების თუ მესაკუთრეების გამართულ ფუნქციონირებას.

7. სამშენებლო ცვლილებები საიჯარო ქონებაში

7.1 მოიჯარეს უფლება აქვს საკუთარი ხარჯით განახორციელოს საიჯარო ფართის შიდა ცვლილებები და რემონტი მხოლოდ მეიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე (რეკონსტრუქცია, აწყობა, მოწყობილობების დაყენება, დამატებები).

7.2 მოიჯარეს ეკისრება პასუხისმგებლობა ყველა ტიპის ზიანზე, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას რემონტის დროს და შედეგად.

7.3 მეიჯარე იტოვებს უფლებას განახორციელოს ნებისმიერ სახის სამშენებლო ცვლილება, რათა დაიცვას ან/და გააუმჯობესოს იჯარის საგნის ფუნქციონირება.

7.4. ნებისმიერი გაუმჯობესების და რემონტის ხარჯები მოიჯარეს არ აუნაზღაურდება და არ ჩაეთვლება საიჯარო ქირაში.

8. მხარეთა ვალდებულებები

8.1. მოიჯარე ვალდებულია:

- გამოიყენოს საიჯარო ფართი მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანიშნულების შესაბამისად;
- არ დაუშვას საიჯარო ფართის ფუნქციის შეცვლა მეიჯარესთან შეთანხმების გარეშე;
- გადაიხადოს საიჯარო ქირა;
- მოუაროს საიჯარო ფართს, მკაცრად დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო, ტექნიკური და სხვა უსაფრთხოების წესები, სანიტარული მოთხოვნები, შენობის კუთვნილი მოწყობილობების და ინვენტარის, აგრეთვე საიუინრო კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლოატაციის წესები;
- მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა დაზიანების საფრთხისაგან დასაცავად, ხოლო მისი ბრალით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აღმოფხვრას იგი თავისი ხარჯებით;
- ითმინოს ყველა სახის გატარებული ზემოქმედება, რომელიც აუცილებელია საიჯარო ფართის შესანახად ან/და მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად;

- დაუბრკოლებელად შეუშვას საიჯარო ფართში ამ ხელშეკრულების პირობების შესრულების, სანიტარული და ტექნიკური პიროებების კონტროლის და შემოწმების მიზნით;
- მეიჯარესთან შეთანხმებით და თავისი ხარჯებით ჩაუტაროს საიჯარო ფართს რეომონტი და გაუმჯობესებანი მისი ნორმალური ექსპლოატაციის უზრუნველსაყოფად ამასთან რემონტის და გაუმჯობესებების ხარჯები მოიჯარეს არ აუნაზღაურდება და არ ჩაეთვლება საიჯარო გადასახადში;
- ნებისმიერი სახის რეკლამის განთავსება შეუთანხმოს მეიჯარეს;
- მეიჯარესთან შეთანხმების გარეშე არ განახორციელოს ისეთი ქმდებები რაც გამოიწვევს საიჯარო ფართის იერსახის შეცვლას, მათ შორის კაპიტალური რემონტი, გადაკეთება და სხვა;
- დააზღვიოს სხვადასხვა რისკებისგან საიჯარო „ობიექტი“;
- დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

8.2. მოიჯარე ვალდებულია იკისროს პასუხისმგებლობა ყველა და ნებისმიერ ლიცენზიაზე და/ან ნებართვაზე საიჯარო ფართში მუშაობასთან დაკავშირებით
8.3. მეიჯარე უფლებამოსილია შეამოწმოს საიჯარო ქონება თვითონ ან მის მიერ დანიშნული ნებისმიერი პირის მიერ ნებისმიერ დროს.
8.4. მეიჯარე უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ საჭიროების შემთხვევაში განახორციელოს შენობა-ნაგებობის, მოწყობილობა დანადგარების და კომუნალური ქსელების მოსახურება და რემონტი რა დროსაც შესაძლებელია დროებით შეიზღუდოს საიჯარო ფართით სარეგებლობა.

9. საიჯარო ქონების დაზიანება

9.1 მოიჯარის ბრალეული ქმედებით საიჯარო ქონებაში რაიმე სახით დაზიანების შემხვევაში მოიჯარე ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეიჯარეს ამგვარი ზიანის შესახებ წერილობით. მოიჯარე ვალდებულია აანაზღაუროს ამგვარი ზიანი სრულად და დაუბრუნოს საიჯარო ქონებას ის სახე, რომელიც ჰქონდა დაზიანებამდე. წინაღმდეგ შემთხვევაში მეიჯარე უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.

10. რეკლამირება

10.1. მოიჯარეს არა აქვს უფლება განათავსოს რეკლამები, განცხადებები/აფიშები, მოციმციმე რეკლამები, სარეკლამო აბრები გარე ზედაპირზე (ვიტრინეზე), ან მოხატოს, გააფორმოს ან სხვაგვარად შეცვალოს აღნიშნული ზედაპირი მეიჯარის წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.
10.2. მოიჯარეს არა აქვს უფლება ჩამოკიდოს ფარდები, ჟალუზები, ასაწევი ჟალუზები ან სხვაგვარად დაფაროს საიჯარო ქონების კარები ან ვიტრინები მეიჯარის წერილობითი ნებართვის გარეშე.
10.3 მოიჯარე ვალდებულია შეათანხმოს მოიჯარესთან ნებისმიერი სახის რეკლამის ფორმატი და დიზაინი.
10.4 მეიჯარე უფლებამოსილია მოიჯარის ხარჯით გადაიტანოს, რეკლამა, დეკორაცია, ფარდები, ჟალუზები და სხვ. რომელიც მოიჯარემ განათავსა მეიჯარის წერილობითი ნებართვის გარეშე.

11. დასკვნითი დებულებები

11.1 თუ ამ ხელშეკრულების რომელიმე პირობა გახდა ბათილი, ეს ვერ მოახდენს გავლენას მთელი ხელშეკრულების ან მისი ცალკე პირობების ბათილობაზე, მათ იურიდიულ ძალასა და გამოყენებადობაზე. ბათილი პირობის ნაცვლად მოქმდებს წესი რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ პირობით დასახული მიზანი.
11.2 მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ერთმანეთს წერილობითი ფორმით მისამართის, ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის, საბანკო რეკვიზიტების და სხვა ცვლილებების შესახებ

რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს ამ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე. უწყება, გზავნილი, წერილი ან სხვა ჩაბარებულად ჩაითვლება თუ ის გაგზავნილია მხარეთათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე.

11.3 ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლების გამოუყენებლობა მხარის მიერ არ ნიშნავს ამ უფლების უარყოფას. ამ ხელშეკრულების შესრულების ადგილია მეიჯარეს ადგილსამყოფელი.

11.4 ეს ხელშეკრულება რეგულირდება და განიმარტება საქართველოში მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, მხარეთა შორის დავა წყდება სასამართლო წესით.

12.5 ხელშეკრულება ყველა ვალდებულებით ვრცელდება ორივე მხარის უფლებამონაცვლეებზე, წარმომადგენლებზე და რწმუნებულებზე. მხარეები ვადასტურებთ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება დადებულია გონივრული განსჯის შედეგად და მასზე ხელმომწერ პირებს აქვთ სათანადო უფლებამოსილება.

11.6 წინამდებარე ხელშეკრულება შეიცავს მხარეებს შორის არსებულ ყველა წინასწარ შეთანხმებას. ყოველი დამატება, ცვლილება ან შესწორება მოკლებულია იურიდიულ ძალას, თუ არ არის შედგენილი წერილობითი ფორმით და ხელმოწერილი ორივე მხარის მიერ.

11.7 ხელშეკრულება შედგენილია 2 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, რომლებიც გადაეცათ მხარეებს.

მხარეთა ხელმოწერები და რეკვიზიტები.

მეიჯარე	მოიჯარე
შპს „ოაზისი - 9“	შპს „ტესტ-სერვისი”
მის: ქ.თბილისი კოსტავას ქ. 37-39, საოფისე ფართი 602.	**მის:** ქ.თბილისი კოსტავას ქ. 37-39, საოფისე ფართი 602
საიდენტიფიკაციო კოდი: 211322736	**საიდენტიფიკაციო კოდი:** 404548771
ბანკი TBCBGE22	
ა/ა GE60TB1100000001467502	
_____ /ზაალ იაკობიძე/	---------- / გიორგი მიმინოშვილი/

შპს ,,სოფლის ნობათის“ (ს/კ 206094661)

თანხმობა

შპს ,,სოფლის ნობათი“ თანახმაა, რომ შპს ,, ტესტ-სერვისმა“ (ს/კ 404548771) მიიღოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისგან ნებართვა და განახორციელოს სამშენებლო სამუშაოები მიწის ნაკვეთზე, მდებარე : ქ.თბილისი, კახეთის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, ჯავახეთის ქუჩის გადაკვეთაზე საკადასტრო კოდი: 01.17.10.011.096 . შპს ,,სოფლის ნობათი“ აცხადებს, რომ დაგეგმილი სამუშაოებით არ ადგება რაიმე სახის ზიანი, შესაბამისად არ ეშლება ხელი საქმიანობაში.

შპს ,,სოფლის ნობათის“ სახელით დირექტორი

ელიზბარ ბეჟიტაშვილი

27.03.2018წ.

სილქნეტი
SILKNET
ყველაფერი კავშირშია

N 1347/24-8 "28" 3 2018

შპს „ტესტ- სერვისი“-ს დირექტორს ბატონ: გიორგი მიმინოშვილს

მის. ქ. თბილისი, კოსტავას ქ #37-39, ტელ: 599-214-001

ბატონო გიორგი,

თქვენგან შემოსული წერილი (8/1825 – 26/03/2018)-ს პასუხად, რომელიც ითვალისწინებს თქვენს მოთხოვნას, შეგითანხმოთ სამშენებლო სამუშაოების წარმოება შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, კახეთის გზატკეცილის მარჯვენა მხარეს, ჯავახეთის ქუჩის გადაკვეთაზე (ს.კ 01.17.10.011.096).

გაცნობებთ, რომ აღნიშნულ ტერიტორიაზე გადის სს „სილქნეტი“-ს კუთვნილი კომუნიკაცია, რომელიც ცდება სამშენებლო მოედანს, შესაბამისად სს „სილქნეტი“ გასცემს თანხმობას აწარმოოთ დაგეგმილი სამუშაოები პირობადებული თანხმობით გათვალისწინებული პირობების სრული დაცვით, რასაც თანხმობის ნიშნად ადასტურებთ ხელმოწერით.

სამუშაოების დაწყების წინ, აუცილებელია გამოძახებულ იქნას სს „სილქნეტი“-ს წარმომადგენელი. ოპერატიული მართვის განყოფილება: 295 00 29 ; 293 27 40

დანართი: 1. პირობადებული თანხმობა 1-ფურცელი,
2. სიტუაციური გეგმა- ნახაზი 3-ფურცელი

პატივისცემით

ტექნიკური განვითარების და დაგეგმარების
დეპარტამენტის უფროსი
რევაზ ღვინიაშვილი

საქართველო, 0112 თბილისი, წინამძღვრიშვილის ქ. 95
ტელ: (+995 32) 2 100 100
ფაქსი: (+995 32) 2 100 001
www.silknet.com

95 Tsinamdzgvrishvili Street, 0112 Tbilisi, Georgia
Phone: (+995 32) 2 100 100
Fax: (+995 32) 2 100 001
www.silknet.com

პირობადებული თანხმობა

ქ.თბილისი

27.03.2018 წ.

სს „სილქნეტი“ თანხმობას აცხადებს შპს „ტესტ-სერვისმა“(დირექტორი გიორგი მიმინოშვილი პ/ნ 01024038557) განახორციელოს მშენებლობა მიწის ნაკვეთზე ს/კ 01.17.10.011.096, აღნიშნულ უძრავ ნივთზე და მის მიმდებარედ გამავალი, სს „სილქნეტის“ მფლობელობაში არსებული ხაზობრივი ნაგებობების მიმართ შემდეგი ვალდებულებების დაცვის პირობით:

1. სამშენებლო პოლიგონზე სს „სილქნეტის“ მფლობელობაში არსებული ხაზობრივი ნაგებობის გამავლობის შემთხვევაში, მიუხედავად მათი განთავსების თარიღისა, გაკეთდეს საკონტროლო შრუფები და ხაზოვანი ნაგებობის უკიდურესი მარჯვენა და მარცხენა წერტილებიდან ორივე მხარეს ერთი მეტრის რადიუსში გათხრითი სამუშაოები განხორციელდეს ხელით.
2. სამშენებლო სამუშაოების განხორციელებისას შენარჩუნებულ იქნეს ნაგებობის სწორხაზოვნება და შეიზღუდოს ფიზიკური კონტაქტი მასთან.
3. იმ შემთხვევაში, თუ სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკიდან ან სხვა რაიმე ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე (ხაზის დაზიანების საფრხე, სამუშაოების წარმოების შეუძლებლობა და ა.შ.) დღის წესრიგში დადგება ხაზოვანი ნაგებობის დროებითი ან მუდმივი გადატანის საკითხი, გადატანა განხორციელდეს სს ‘სილქნეტთან“ შეთანხმებული პროექტის შესაბამისად დაინტერესებული პირის სახსრებითა და ხარჯებით; ასევე, დაინტერესებული პირი წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით ადასტურებს, რომ აღნიშნულ პუნქტში გაწერილი გარემოებების დადგომისას, იგი თანახმაა არსებული ხაზობრივი ნაგებობის ახალი ტრაექტორიით განთავსებაზე, ყოველგვარი ანაზღაურების მოთხოვნის გარეშე.
4. სამშენებლო სამუშაოების დაწყების ან/და ახალი ხაზობრივი ნაგებობების აღმოჩენის შემთხვევაში, შეჩერდეს სამუშაოები და მოხდეს სს „სილქნეტის“ თანამშრომლის (ოპერატიული მართვის განყოფილება ტელ: 2950029; 2932740) ინფორმირება.
5. ახლად აღმოჩენილი ან/და აშენებული, სს „სილქნეტის“ მფლობელობაში არსებული ხაზობრივი ნაგებობების მიმართ გავრცელდეს წინამდებარე თანხმობით გათვალისწინებული წესები.
6. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ, მიწის საფარი და სხვა ინფრასტრუქტურა მოყვანილ იქნას პირვანდელ მდგომარეობაში.
7. სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდგომ, სს „სილქნეტს“ წარმომადგენლებს მიეცეს 24 საათიანი შეუზღუდავი დაშვება სააქციო საზოგადოების მფლობელობაში არსებულ ხაზოვან ნაგებობებთან.
8. მშენებლობის განმახორციელებელი პასუხს აგებს სამშენებლო სამუშაოების შედეგად სს „სილქნეტის“ მიმართ დამდგარი ნებისმიერი სახის ზიანისათვის, რომელიც დაკავშირებულია აღდგენით სამუშაოებთან, მიუხედავად იმისა პირადად მისი ბრალით მოხდა ზიანის დადგომა თუ სამუშაოების მონაწილე მესამე პირის ქმედების შედეგად; ასევე, სს „სილქნეტს“ ეძლევა სამშენებლო პოლიგონზე შეუზღუდავი დაშვების უფლება დაზიანების აღმოფხვრის ან/და ქსელის განვითარებისათვის საჭირო სამუშაოების განხორციელების მიზნით.
9. მიწის ნაკვეთის გასხვისების შემთხვევაში, აღნიშნული პირობები გავრცელდეს ახალ შემძენზე და ამ უკანასკნელის ინფორმირება წინამდებარე თანხმობის მიმღების ან/და მესაკუთრის ვალდებულებაა.

წინამდებარე დოკუმენტზე ხელმოწერით ვადასტურებ, რომ გავეცანი და ვეთანხმები მის პირობებს.

განმცხადებლის სახელი, გვარი, პ/ნ, მისამართი, ტელეფონი, ხელმოწერა

გიორგი მიმინოშვილი
პ/ნ 01024038557
ქ. თბილისი ორხევის ქ. N17
599 214 001
28.03.2018